



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მელე-მოლე ბირაფა

"მელე-მოლე ბირაფა", "გაღმა-გამოდმა სიმღერა", გავრცელებულია ლაზეთში. "მ-მ. ბ" არის სიმღერის ისეთი სახეობა, როდესაც გარკვეული მანძილით დაშორებული ორი გუნდი ერთმანეთს ეჯიბრება სიმღერაში, ურთიერთ გამაირებაში. დიდად ემსგავსება კაფიობას ("კაფია ოთქუმალე", "გერჯინაშა ბირაფა", "ბირაფას დოდგინუ"). გამარჯვებულად მიიჩნევა მახვილსიტყვაობითა და პოეტური გამოსახვის უნარით გამორჩეული გუნდი, ხოლო ვისაც ლექს-სიმღერა ("ბირაფა") შემოეღევა, დამარცხებულად ითვლება.

ლიტ.: თ ა ნ დ ი ლ ა ვ ა ზ., ლაზური ხალხური პოეზია, ბათ., 1972; სარფი, ბათ., 2015.

ზ. თანდილავა
